

# ივერია

ბაზეთი ღირს:

თ.ჯ.	მან.	კ.	თ.ჯ.	მან.	კ.
21	10	—	6	6	—
11	9	0	5	5	50
01	8	5	4	4	75
9	8	—	3	3	50
5	7	2	2	2	75
7	6	5	1	1	50

ცალკე ნომერი — ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია:  
ნიკოლოზის ქუჩა, 21.  
ტფილისი.  
ბაზეთის დასაბარებლად  
და განცხადებათა დასაბუღებლად  
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ  
გამავრც. საზოგადოების კანცელიარის.  
ფასი განცხადებისა:  
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ  
16 კაპ. მეორეზედ — 8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**გალე**  
გაპარტავს წარმოდგენებს ცნობილი  
სპირიტის და სხვის აზრების გამო-  
ცნობი

**კროფისკოვი პ. ფ. ლერხი.**  
1-12-1

**ქართული თეატრი.**  
კვირას 28 იანვარს, 1896 წ.  
„ქართულ დრამატულ საზოგადოების“  
დასასვენებელი იქნება

ქ. ნ. ავალიშვილისა, ა. შ. შიშინისა, კ. მესხისა  
და ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით

**ი**  
**უბრალოდ დასველიონი**

გამოდის 4 მოქმ. ოსტრავსკისა, თან-  
გმანა ო. მაკსაკრანისა მიერ.

**II**  
**დემონი**

დრამატ. სცენა 1 მოქმდ. ლერმონტო-  
ვისა, თარგ. მ. გურაფის მიერ

მონაწილეობას ღებულობენ: ავა-  
ლოვისა, ჩერქეზიშვილისა, მელიქი-  
შვილისა, ჩხეიძისა და სხვ. ბ-ნი აბა-  
შიძე, ალექსი-მესხიშვილი, კ. მესხი,  
გუნია, გედევანოვი, შათირიშვი-  
ლი და სხვ.

აღვიწყობის ფასი ჩვეულებრივია.  
მოწოდებისათვის ადგილები ლოქე-  
ბის უკან 65 კაპ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ  
ოთხშაბათს 31 იანვარს დინიშნულია  
ბენეფისი ვ. ა. აბაშიძისა.

რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი

**ფელეტონი**

**ჩვენი მხლანდელი სიბრძნე-სი-  
ცაჟე.**

ღეძულება მესამე.  
მოწყალება ქალბატონებსა და მოწყალე-  
თა ბატონებსა.

ერთი ბრწყინვალე წარმომადგენე-  
ლი ეხლანდელის სიბრძნე-სიცაჟისა  
მე უკვე დაგისახელეთ წინა ლექცია-  
ზე. ამ ახალს მიმართულებას სიბრ-  
ძნე-სიცაჟისა სხვებმა ჰყავს, არა  
ნაკლებ ბრწყინვალე წარმომადგენე-  
ლი. ჩემის ფიქრით, ისტორიას არ  
უნდა დაუარგოს კაცმა იმისთანა  
სახელოვანის კაცების სახელები, რო-  
მელნიც ახალს მიმართულებას პიო-  
ნერები არიან. ნუ გვინათ, ახალი  
მიმართულება ლილახანა იყოს, რომ  
მაშინვე გახშირდეს და ვინც გინდათ  
და არ გინდათ ხელი შიგ წაუაროს.  
ისტორიაში არც ერთი მაგალითი  
არ არის, რომ ახალი მიმართულება  
პირველ ხანშივე ადვილად იკაფე-  
დეს გზას. მართა „ჩრეულინი“ ამა  
ქვეყნისანი, მართა ცით ერთგვარ  
მადლ-ცხებულნი მიუხედავად ხოლო-  
მე ახალ მიმართულებას, — რის მო-  
მასწავებელია და რაშია გამოსადეგი  
ამ არსებობისათვის ბრძოლაში. ამი-

კვირას, 28 იანვარს,  
„ტფილისის კრეფის“ შენობაში  
ტფილისის სპექტაკლური საზოგადო-  
ების საშუალებათა გასაძლიერებლად  
დანიშნულია საცეკვაო კოსტუმე-  
ბიანი

**სალაქო**

ქალებს შეუძლიანთ კოსტუმებითა  
და ჩვეულებრივ საღამოს კაბებითაც  
იყვენ. საღამოს ბილეთი 2 მან. და  
10 კაპ. ღირს. ბილეთების მიღება  
შეიძლება საზოგადოების თავმჯდო-  
მარის ამხანაგთან კნ. ა. ა. ამილახ-  
ვართანა (ძველი ინსტიტუტის ქუჩა,  
სახლი ტერ-ასატუროვისა) და საზო-  
გადოების მდივანთან ს. მ. ხალათო-  
ვთან) ლაბორატორის ქ., საკუთარი  
სახლი). (2-5-2).

**პატივითი პილინს კიბითა**  
პ. ი. პილინსკისა და მ-ნის ძ. ღ.

**ილარიონოვისა.**

ბიხელი. ქუჩა, სახლი კრაუზისი, 79.  
ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9—3  
და საღამოს 4—7 საათამდე.

**პილინსკის**

ყოველ გვარს სასამართლო სამ-  
მის, როგორც სამოქალაქოს, ისე  
სისხლის სამართლისას, ვწერ ყოველ  
გვარს არსებს, ვტვირთულობ აგრეთ-  
ვე მამულების განაგებში დაზიარა-  
ვებას.

მსურველთ მკვლევართან დიდის 8—10  
საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.  
ოქრომედელების ქუჩა, სახლი პაპოვისა,  
№ 30, იკითხეთ ა. მ. ახანაზოვი.

ტომაც ცოდვა ამისთანა კაცებს სა-  
უკუნო სახსენებელი არ აეგოს. მეც  
ამისთვის ვცდილობ, თორემ არც  
ისეთი მოკლილი კაცი ვარ, რომ  
ამისთანაზე გამეწერა ძვირფასი  
დრო და ეს ქართველთათვის თავ-  
მოსაწონებელი კაცები იმეზნელებო-  
ში დამეტოვებინა, საიღამაც ეხლა  
მე გამოიყავს სინათლეზე.

მეორე „ჩრეულინი“ ამა ქვეყნისა  
და ბრწყინვალე წარმომადგენელი  
წამოგვიკვამდა ჩვენ იმეზ 23-ს დე-  
კემბერს სკოლის კრებაზე. ხომ მო-  
გვხსენებთ, ვინა ბრძანდება თ. ი.  
მაჩაბელი. იგი თავია იმისი, რის ფე-  
ხებიც თ. მ. მაჩაბელი თავისის პო-  
ტფელითურთ. ისე გადაბმულები-  
კი არიან ერთმანეთზე, რომ ძნელი გა-  
მოსაცნობია, — სად თავდება ერთი და  
სად იწყება მეორე.

მინამ ლაპარაკი იყო იმის თაობა-  
ზე, — რა სახის და პროგრამისა უნ-  
და იყოს ჩვენი სკოლა, ბ-მა როს-  
ტომაშვილმა წარმოსთქვა, რომ თქვენ  
დღეს სკოლა არა გაქვთო. ეგ თქვე-  
ნი სკოლა თავისაღ-კი არ არისო,  
მსახურია სხვისა სკოლისაო. თუ გნე-  
ბათ თქვენი საკუთარი სკოლა იქა-  
ნით, სხვის მოსაწონებლად კი არ  
უნდა იყოს, ჩვენი საკუთარი მოსა-  
წონებელი უნდა იქმნესო, ჩვენ და  
მართა ჩვენ უნდა გვახიროს, მარ-

ქართველთა ამხანაგობის გამოცე-  
მა № 36

**ღვინის დაყენება**

პროფესორის ვას. პეტრიანისა  
ფასი 2 მან. 50 კაპ.

ისყიდება ამხანაგობის მალაზიაში  
ქვაშეთის ეკლესიის პირდაპირ.

**ფელიისი, 28 იანვარი.**

„მოსკოვსკია ვედამოსტი“ (№ 20)  
თავის მეთაურ წერილში ერთს ფრიად  
დიდ-მნიშვნელოვანს საგანს შეეხო.  
თვით სათაური ამ წერილისა გვანი-  
შნებს რა საგულისხმოა იგი საგანი  
ჩვენთვის, ქართველებისათვის. ამ წე-  
რილის სათაურადა აქვს: «სანაციონა-  
ლო საქმე და ქართველები.»

წერილი იგი გამოწვეულია ქუთა-  
ისის გუბერნიის თავად-ახანაურთა მა-  
რშლის სიტყვისაგან, რომელიც წა-  
რმოთქმულ იქმნა ამას წინაღ იმის  
თაობაზე, რომ ზოგიერთმა რუსეთის  
საბატო ქალაქების გაზეთებმა გამო-  
ილაშქრეს ქართველობაზე და შეს-  
წამეს ვინ იცის რა. „მოსკოვსკია ვე-  
დამოსტი“ ამბობს, რომ ჩვენ სიხა-  
რულით აღვნიშნავთ იმ მხურვალე  
ერთგულებას, რომელიც ბ-ნ მარშ-  
ლის სიტყვაშია გამოცხადებული ჩვენ-  
ის „საერთო მამულის“ მიმართაო.

მეორეს მხრით ისიც-კი უნდა შევი-  
წნოთ, ამ ჯერად კი მწუხარებით,  
რომ ზოგიერთა გაზეთის მეტ-სიტყვა-  
ობამ მართლა აუშინებია მამული-  
შვილური გრძობა ქართველ ერის  
წარმომადგენელთა თავად-ახანაურო-  
ბისაო. როგორცა სჩანს, ამ მეტ-სი-

ტო ჩვენი გამოსადეგი, ჩვენის სვე-  
ბედის ამტანი და გამტანი უნდა იყ-  
ოსო. თუ ასეთის თვალთ დაუწე-  
ყებთ ყურებას ჩვენს სკოლას, ადვი-  
ლად დავინახავთ, — რა სახისა და  
პროგრამის სკოლაა ჩვენთვის საჭი-  
როო.

მართალია, თუ არა ბ-ნი როსტო-  
მაშვილი, ამის გამოძიება ჩემის ლე-  
ქციის საქმე არ არის. ხოლო იმისი  
თქმული იმისთანაა, რომ ვისაც თვა-  
ლნი აქვს ხედვად და ყურნი სმენად  
თვალის უნდა აეხილნა და ყურე-  
ბიღამაც ბაშა გამოედო. ჩემის ფი-  
ქრით, ცოდვაა ასე თუ ისე თვალის  
და ყურის არ ათხოვოს კაცმა ამ ბ-  
ნი როსტომაშვილის მიერ გამოთქმულს  
დღე-აზრსა და თავისს სასწორზე არ  
ასწონ დასწორის ან საპოლად, ან  
საარაოდ. ამისთანა ძარღვიანმა აზ-  
რმა განუკითხვლად არ უნდა ჩაი-  
როს, თუ ქუა ქუაობს და გულში  
გულობს სადმე.

ამისთანავე ძარღვიანი აზრი, ხო-  
ლო სხვა თვალთა ხედვიდამ კი მო-  
ვლინებული, წარმოსდგინა ბ-მა ცხე-  
დ-ქემ, რომელმაცა სთქვა, რომ  
ჩვენც ვიცით რა სახის და რა პრო-  
გრამის სკოლაა ჩვენთვის სასურვე-  
ლიო, ხოლო დრო-ჟამი და ცხლან-  
დელი ჩვენთვის უცხო გარემოებანი  
ითხოვენ, რომ ჩვენი სურვილი, ჩვენ-

და სამწუხაროდ, ჯერ ხანად მაინც  
დადუმდესო, თუ გვიანდა რომ ჩვენს  
სკოლაში კურსს-შესრულებულთ შე-  
მდგისათვის გზა ჰქონდეთ სწავლის  
განგრძობისაო. ამიტომაც სახე და  
პროგრამა ჩვენის სკოლისა ამ დრო-  
ჟამს და უცხო გარემოებას უნდა  
შევეფეროთო.

ამ სახით ორ-ტოტად დენა დაიწე-  
ყო აზრმა კრებაში და ორსავე ისე-  
თი მართლად მიიმე საბუთი ჰქონ-  
და, რომ ერთიც და მეორეც ღირს  
იყო განეკითხა კრებას გულ დასმით  
და ქუა-დაჯდომით.

არა ნაკლებ საბუთიანი და ღირს-  
განსაკითხავი აზრი წარმოსთქვა ბ-მა  
გოგებაშვილმა, გ. იოსელიანმა. თ.  
ვ. მიქილაძემ და დეკანოზის შვილმა.  
თუმცა იმათი აზრები ერთმანეთში  
განიჩრეოდნენ, ზოგი აქედამ უფლი-  
და საქმეს ზოგი იქილამ, მაგრამ ყვე-  
ლამ გარკვეული აზრი სთქვა რე მისცა  
კრებას საბუთი ან ჰო ეთქვა, ან არა.  
წამოდა თ. ი. მაჩაბელიცა. ერთმა  
კუნტულმა კრებისამ წინაღვე მოამ-  
ზადა ხელები ტაშისათვის.

ლი საქროება გარჩევსა და მაგ სა-  
მწუხარო განუჩრეველობას რაც შეიძ-  
ლება მალე მოეღოს ბოლოო.

არა ერთხელ გამოვიკვივენიბაო  
დაწერილებით ჩვენი აზრი, რომ რუ-  
სეთის „სანაციონალო იდეა“ სუ-  
ლაც არ მდგომარეობს იმაში, რომ  
თავისებური სახე წაუშალოს, თავი-  
სებურობა ჩამოართვას, დაუკარგოს  
იმ მრავალ სხვა-და-სხვა ერსა, რომე-  
ლიც შესულია რუსეთის იმპერია-  
შიო. კუთვნილება იმ დიდის ოჯახი-  
სა, რომელსაც წარმოადგენს რუსე-  
თის ეროვნება, იმაში უნდა იჩენდეს  
თავსა, რომ სულიერი ნათესა-  
ობა გვექონდეს ერთმანეთისა, ერთად  
ვიღწვადეთ ერთიანის მიმულის სი-  
კეთისათვისაო. ამ მხრით სახელოვან-  
ნი თავადი ბეგარტიონი ქეშმარიტი  
მამულის-შვილი იყო რუსეთისაო და  
ამასთანავე ქართველიცაო. იმისთანა  
კაცებს-კი, როგორც დრაგომანოვი  
არის, ჯიშით წმინდა რუსი, არა-  
ფერი საერთო არა აქვთ რუსე-  
თის ერთანაო.

ყოველ ამის შემდეგ მეთაური იხ-  
სენიებს, რომ ქართველობა ერთად-  
ერთი ერია, რომელსაც უნდა დამე-  
ყაროს რუსეთი კავკასიაში. ქართვე-  
ლების დიდი მნიშვნელობა რუსეთი-  
სათვის სწორედ ამაშიაო. ჩვენ და-  
ვიწყებული არა გვაქვს საქართველოს  
ისტორიაო. ჩვენ ვიცითო, რომ სა-  
ქართველო კავკასიაში იმეზ ისტორი-  
ულ მისიის გამომეტყველია, როგო-  
რისაც რუსეთიო. თუ ჩვენ ძმურად  
ვექცევთ სხვა ჯიშის ერსა, მით  
უფრო ძმურად არ უნდა მოვეყრათ  
ქართველებსა, რომელნიც ნებით შე-

თ. ი. მაჩაბლის „დინასტიაში“ (ჩვენი  
სიტყვა არ არის) მაგლობელიც არის,  
როგორც უკვე შენიშნული იყო  
ერთს დროს ერთს აქაურს გაზეთში,  
მაგრამ რომ თვითონ თ. ი. მაჩაბელს  
გალობის უნარი ჰქონოდა, არავის  
გაგონა. მეც არ გამოგონია, თუმცა  
ბევრი სხვა რამ-კი გაგონილი მაქვს.  
მოგახსენებთ, გამოვიკრდა: ვინ თ. ი.  
მაჩაბელი და ვინ ცანგალა მეთქი,  
შეხვედნე ხელახლად იმ კუნტულს და  
ხელები ისევ ტაშისათვის გამოშვარი-  
ლი ჰქონდათ. ყურები ვაცქვიტე.  
ერთი ვნახოთ, ეს ახალი უნარი რო-  
გორ დააშვენებს თ. ი. მაჩაბელსა  
და ან თ. ი. მაჩაბელი :მ ახალს  
უნარსა მეთქი. ერთშიაც და მეორე-  
შიაც მოგეტყუდეთ, იმიტომ, რომ თ.  
ი. მაჩაბელმა თავისს თავს არ უმტ-  
ყუენა.

დიად, თ. ი. მაჩაბელმა არც აქ  
უმტყუენა თავისს თავსა. ერთის იო-  
ტის ოდენადაც არ დაუწევია ძირს  
იმ სიმაღლიდამ, საცა იგი ღვთის  
განგებას დაუყენებია ყელ-მოღერე-  
ბული. ისევ ძველებურად, თავისებუ-  
რად მოჰყვა სხაპასუხს, თითქო თა-  
ვზე წვიმა დასდის და სჩქარობს მა-  
ლე დაროშის დასაროშელი და სად-  
მე ფანატურს შეეფაროსო. როგორც  
მოგახსენებთ ამისი კეთილი ამბავი  
და ჩვეულება, გაუგორდა და გამო-

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ  
ოთხშაბათს 31 იანვარს დინიშნულია  
ბენეფისი ვ. ა. აბაშიძისა.

რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი

**ფელეტონი**

**ჩვენი მხლანდელი სიბრძნე-სი-  
ცაჟე.**

ღეძულება მესამე.  
მოწყალება ქალბატონებსა და მოწყალე-  
თა ბატონებსა.

ერთი ბრწყინვალე წარმომადგენე-  
ლი ეხლანდელის სიბრძნე-სიცაჟისა  
მე უკვე დაგისახელეთ წინა ლექცია-  
ზე. ამ ახალს მიმართულებას სიბრ-  
ძნე-სიცაჟისა სხვებმა ჰყავს, არა  
ნაკლებ ბრწყინვალე წარმომადგენე-  
ლი. ჩემის ფიქრით, ისტორიას არ  
უნდა დაუარგოს კაცმა იმისთანა  
სახელოვანის კაცების სახელები, რო-  
მელნიც ახალს მიმართულებას პიო-  
ნერები არიან. ნუ გვინათ, ახალი  
მიმართულება ლილახანა იყოს, რომ  
მაშინვე გახშირდეს და ვინც გინდათ  
და არ გინდათ ხელი შიგ წაუაროს.  
ისტორიაში არც ერთი მაგალითი  
არ არის, რომ ახალი მიმართულება  
პირველ ხანშივე ადვილად იკაფე-  
დეს გზას. მართა „ჩრეულინი“ ამა  
ქვეყნისანი, მართა ცით ერთგვარ  
მადლ-ცხებულნი მიუხედავად ხოლო-  
მე ახალ მიმართულებას, — რის მო-  
მასწავებელია და რაშია გამოსადეგი  
ამ არსებობისათვის ბრძოლაში. ამი-



მოგვიერთდნენ რუსებსა და რომელიც იმავე საქმისათვის იღწვიან, რისათვისაც რუსებო. თუ რუსეთმა დაიხსნა საქართველო, ამით დაიხსნა საკუთარი—ქართველებთან ერთად გაერთიანებული—საქმეო; კავკასიაში ქართველებსა და ჩვენი საქმე ერთმანეთისაგან განუშორებელია და ერთი და იგივეაო.

ამიტომაც დიდი უსამართლობაა, შეუწყნარებელი წინააღმდეგობაა მამულის-შვილობისა, უსიყვარულობაა რუსეთისა, გმობაა ჩვენი ეროვნებისა, რომ ქართველებზე ცუდი რამ გავტაროთ გულში, ქართველებს ვაწყენინოთ და მათზე ექვი რამ ვიქონიოთო მამინ, როცა ამის მიზეზი არ მიაუციათო.

ჩვენ რა გვეთქმის ყოველ ამხე გარდა იმისა, რომ თქვენს პირს შაქარი-თქო. მხოლოდ აქ ერთი ამხევი გვაგონდება. ერთმა კაცმა, სულის დაღვივის ჟამს, მოიწვია მოძღვარი, თავისი ნათესავები, მახლობელი და ასეთი ანდერძი გამოუტყდა: შენთვის, ჩემო მოძღვარო, მანდერძებია ასი თუმანი, ამისათვის ორასი, იმისათვის სამასი და ამ რიგად ყველა სათვის გაუწაფილბია. გაძხარებით ყველას ამისთანა გულ-უხეზობა მომავდავისა. ბოლოს, პირველ სიხარულს რომ გადუვლია, უკითხავთ: მადლობელი ვართ ამ შენის მოწყალებისათვისა, ხოლო გვიბძანე საიღამ მივიღოთ ეგ შენი ნაანდერძებო, ან ვის მოვკითხოთა. იმას არც უცებია და არც უცხელბია და უბასუხნია: ახლა, მაგისათვისაც დაჩდი და ნადველი მე უნდა გამაწყენინოთო!

### ახალი ამბავი

\* როგორც დებეშით გვაუწყებენ 26 იანვარს ქუთაისიდან, იქაურს სათავად-აზნაურო სკოლაში პანაშვიდი გადაუხდიათ დაუვიწყარის მღვდელთ მთავრის გაბრიელის სუ-

უგორდა ხელის გულზე კრებას, უკმია შესაფერი საქმეველი სკოლის მასწავლებელთაცა. ბევრი იყა ჰაი, საქართველოვ... ჰაი ქართველობავ... ჰაი, ვინ გაბედავს და შესწამებს, რომ ქართული გული არ უტყვით ჩვენი სკოლის მასწავლებელთა... ვინ, აბა ვინ!.. სად არის ის საწყაო, რომ ასწყან ამათი ღვაწლი!.. სად!.. ეს კრება!.. ოო, ეს კრება!.. ამ კრებაში კარგად იცის, ზედ-მიწევნით იცის, ვინ არის სკოლის მტერი და ვინ არის მოყვარე! (აქ თ. ი. მაჩაბელმა და ბნმა გ. წერეთელმა ერთმანეთს თვალი უტყვეს, თუმცა, მგონია, უზრახნად კი არიან)... მე!.. მე!.. მე, რომელიც (აქ ერთი ორჯელ გულში ხელი ჩაიკრა თ. ი. მაჩაბელმა ჩვეულებისამებრ და გ. წერეთელმა ტურები ზევით აიწია) მე!.. რა მე?! აქ, აი ამ კრებაში... ოღონდ კარგი რამ დაეწყოს, თორემ ეს კრება... მე... მე... დარწმუნებული ვარ, ან ვინ გაბედავს დარწმუნებული არ იყოს, რომ ეს კრება... არასფერს დაჭოგავს სკოლისათვის, უხვად გასცემს, დიღ, უხვად, უხვად გასცემს, არაფერს დაჭოგავს სკოლისათვის... და სხვანი და სხვანი.

იგრილა იმ ერთს კუნტულში წინაღვე მომხადებულმა ტაშმა, თუმცა-კი ძალიან თხლად, თითქო ქალების

ლის მოსახსენებლად და ერთის დლით სწავლაც შეუწყვეტიათ.

\* \* \* დღეს, 28 იანვარს, ქართულ დრამატულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება „უბრალოდ დასჯილი“ კომედია ოსტროვსკისა თარგმანი ი. მაკავარიანისა და „დემონი“ დრამატული სცენა 1 მოქმედ. ლეკონტოვისა, თარგ. მ. გურიელის-მიერ.

\* \* \* კავკასიის რკინის გზა ჯერ არ გაუწყნდიათ, ვაცხარებული მუშაობაა, მატარებლები ვერ დადიან.

\* \* \* გულში, 27 იანვარს, რუსეთის ფოსტა მოსულა.

\* \* \* ტფილისის მახრის სოფ. ხატის-თელეთში და ახალ-სოფელში საქონლის ქირი გაჩენილა ამას წინადა და, ტფილისის გუბერნატორის ბრძანებით, ამ ადგილებში წასულა საგუბერნო ბეთალი ტ. ბოლოტოვი, რომელსაც გამოუცვლევია, რომ ქირი სხვა ადგილიდამ გადმოსულა და გადასდებია ზემოხსენებულ სოფლების საქონელს, რადგან მკვიდრნი არ უფრთხილდებიან და არაერთარ საშუალებას არა ხმარობენ თავისი საქონელი ააცილონ ამ უბედურებასა. გაჩნდება თუ არა ქირი, არავითარ ყურადღებას არ აქცევენ. მკვდარ საქონელის ტყავსაცა დახორცასც ხმარობენ, თუ თვითონ არა, ძალღებს აქცევენ და სხვ.

ბ-ნ ბოლოტოვის ხალხისათვის სიტყვიერად და მამასახლისებისათვის-კი წერილობით აუხსნია, რა საშუალება უნდა იხმაროს ხალხმა ქირის ამოსაფხრველად და ჩვენ აქვე აღვნიშნავთ, რომ სხვებმაც ისარგებლოს, როცა სადმე ქირი გაჩნდება: ა) ეზო და ბოსელი უნდა გაიწმინდოს ნაკვლისაგან; ნაკვლს უნდა კირწყალი გადასხათ და გაიტანოთ ან ბაღში, ან მინდორში; ბ) ბოსელის იატაკი და შიდა კედლები უნდა კირწყალით გარეცხოთ, ან მოაყაროთ ნაყარი; გ) სახურავიანი ბოსელი თუ არის, უნდა გოგირდი დაწყვათ და უბოლოთ. ამისათვის ესე უნდა მოიქცეთ: უნდა შუა ოთახში

უძლური ტაშიაო. თ. ი. მაჩაბელსაც მარტო ეს უნდოდა, როგორც ეტყობოდა. იგი გამარჯვებული წავიდა და იმ კუნტულში ყელ-მოღერებული გამოიქიმა, მითომდა ბურთი მოედინიდამ გაიტანა და გაიტანა. ბუბრის ქუდი რომ ჰხურებოდა, თავ მოწონებით ჩაიკეცავდა, ყელს უფრო მოიღერებდა და იქნება დონდჯიკ შემოეყარა.

რა თქმა უნდა, თ. ი. მაჩაბლის თქმულს სიტყვა-სიტყვით ვერ აღვადგენ. ხოლო ვინც იქ იყო, გულზე ხელი დაიდოს და მითხრას: იმის სიტყვაში იმ ჰაი-ჰაის მეტი ეყარა რამე!.. იმ პირ-ფერობის, ლაქტისა და კულის-ქნევის მეტი ვის რა დარჩა ხსოვნაში, ვინ რა გამოიტანა?

არა მგონია, იმის გაგორ-გამოგორებასაც კრებისა და სკოლის მასწავლებელთა წინაშე ბევრი რამ კეთილი შეეძინოს თ. ი. მაჩაბლისათვის. ლილახანა დიდხანა წაუხდა ჩვენში ამისთანა კულის ქნევას, ამისთანა მალაყებსა მით უფრო, რომ ეს ასეთი ამბავი თ. ი. მაჩაბლისაგან არ ახალია ძველია. წავიდა ის დრო, როცა ამისთანა ბუჩიანი ხარბლის მარცვლითა წაიტყუებდნენ ხოლმე ბელურა-ჩიტებსა. სხვისა არ ვიცით და სკოლის მასწავლებელნი მინც ისეთნი არ არიან, რომ თავისი საკუთარი თვალ-

ცეცხლი გააჩალოთ, როცა შემას კარგად მოგიკლება, ერთი მუტა და ნაყილი გოგირდი დაყარეთ ზედ, მევე გარედ გამოდით და კარები გამოიკეტეთ; თუ კედლებში ნაკვრეტებია—თივით გამოტენეთ. სამი საათის შემდეგ, როცა გოგირდი დიწვას, გაღეთ კარები, ბოლი გამოვიდეს და მევე საქონელი შერეკეთ ბოსელში. ერთი კვირის შემდეგ კიდევ უნდა გაიმეოროთ ესე; დ) ქირიანი საქონელი უნდა უთუოდ გააშროთ მრთელ საქონელს, ნაკელი-კი ქირიანისა ცალკე უნდა მოაგროვოთ და მუდამ დღე დასწავთ; ე) წყალი უნდა ასეთი ქირიანი საქონელს ისე, რომ ჯერ რომელიმე ფქვილი აურიოთ; ე) მკვადი საქონელი უნდა უთუოდ მიწაში ღრმად ჩამარხოთ ტყვიანად, მაგრამ სახლისა, წყლისა და გზის მოშორებით; ზ) ქირიანი საქონლის ხორცი არ მოსკათ არავითარ საქარობისათვის, არც ძაღლების საქმელად და ჰ) რადგან შარშანდელი ბზე და თივა უფრო ობ-მოკიდებულია, კარგი იქნება ესეთი საკვები მარილ-წყლით მოახათ ჯერ და ისე აქამოთ: ერთ ვედრა წყალში ერთი გირვანქა მარილი გახსენით.

თუ ესეთი საშუალება იხმარა ხალხმა მტკიცედ და თავ-თავის დროზე, იმედია ქირი ფეხს ვერ მოიდგამს და აუარებელი რიცხვი საქონელისა, რომელიც უყურადღებობისა გამო იხოცება, პატრონს შერჩება.

\* \* \* ურიგო არ იქნება ყურადღება მიეპყროს, რომ ქართულს ენაზე სახალხო კალენდარი გამოიცეს ხოლმე ისე, რომ მისი ფასი 10 კაპ. ზეით არ ავიდეს. ამ ფასად შეიძლება რომ 100 გვერდიანი პატარა ზომის კალენდარი დაიქვლოს, სადაც ბევრი რამ საკალენდრო ცნობები შეიძლება მოთავსდეს. 100 გვერდიანი კალენდა იკმარა საეროთ.

ასეთი კალენდრის საქარობა ქართველებში დიდი ხანია რაც სჩანს, მაგრამ მის შედგენას ხელი-კი

თა ხედვა არა ჰქონდეთ და თავისი საკუთარი ყურთა-სმენა. ამით წინაშე ზიზილ-პიბილები და კუნტრუში ვერაფერი ლარი და ხაზია სვის გატანისათვის. ამით კარგად იციან, —რა ფასისაა, რა ღირებულობისაა იგი მიწა-ნარევი საქმეველი, რომელსაც თ. ი. მაჩაბელი „ვისაც ჯერ არს და სადაც ჯერ არს“ ასე უხვად უქმევს ხოლმე. კიდევ კარგია, რომ ამისთანა კმევას ჯერ ბევი არ ადევს, თორემ დიდი გადასახდელი დააწვებოდა თავზე თ. ი. მაჩაბელს.

პირში—ქებას კეუა დამჯდარ კაცი თვალში დამბალ კიტრის ფასიც არა აქვს. პირში მაქებარს აი თავის თავის პატივმცემელი კაცი რას ეტყვის ხოლმე: ეგ ქება შენთვის შეინახე, სხვაგან გამოგადგება. მე-კი, ვაი რა ბაღლი გგონივარ, რომ ჰფიქრობ მაამო და მით მომატყუოო...

არა მგონია, თვითონ კრებაც მოტყუებულ იყოს, რომ უქო და უღიდა გულუხეზობა და არ-დაზოგვა სკოლისათვის. კრებამ ძალიან კარგად იცის, —რა უკადრისი გუნდრუკით-კმევა ამისთანა ბაღლური ლათაიები. კრებამ ძალიან კარგად იცის, რომ თვით არაფერს შუაშია ამ გულ-უხეზობაში და არ დაზოგვაში. რა დასამალავია, რაც ყველასათვის ცხადია, რომ კრებას თავისი საკუთარი ერთი

არავინ მოჰკიდა; მართალია ბატ. ვ. გუნია ბექდავს ვრცელს საქართველოს კალენდარს, მაგრამ ამის შექმნა ყველას არ შეუძლიან და ზოგი ისეთ გარემოებაში და საქმეშია რომ პატარა კალენდარი ყოველთვის თან უნდა ჰქონდეს.

დღემდის იბეჭდება ერთი პატარა კალენდარი სერგეი მდივანოვისა, საკალენდრო ცნობებს ეს პირი რიგინად ადგენს, მაგრამ ერთი მისი უბედურება ის არის, რომ თავის კალენდარს არ იქმნა ვერა მოუმატარა და გარდა ამისა პატარა კალენდარსაც ფასი არ დააკლდა 64 გვერდიანი, პატარას ზომისა, ღირს 20 კაპ.

ამას გარდა იბეჭდება ახატელოვის კალენდარი და ამის ხსენებაც არ ღირს. ასეთი კალენდრის დიდი მოთხოვნილება იმის იმერეთის ქალაქებშია და ურიგო არ იქნება, რომ ქუთაისში ან ბათუმში ამ საქმეს ვიმემ მოჰკიდოს ხელი და ყოველ წლობით იქ ბექდავს ქართული სახალხო კალენდარი, იქ ბექდავა, დიდად გაუღვდილებს ხალხს კალენდრის მოპოვებას.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს შენიშვნა უყურადღებოდ არ დარჩება.

\* \* \* დ. ბორჯომი: ძალიან შეაწუხა და დააფიქრა ბორჯომის ხეობის გლეხ კაცობა უთოვლობამ, ტყი-დამ ხე-ტყეს ვეღარ ზიდავდნენ, მოვიდა თოვლი და გახარებულს გლეხ-კაცობას სისწრაფით გამოაქვს ხე-ტყე.

პირველად თოვლი 16 იანვარს მოვიდა. 20 იანვარს დილით დაჰკარა ლემა და ყველას ეგონა თოვლი სრულიად გადნებოდა, მაგრამ იმავე საღამოს ხელ-ახლად იწყო თოვლა და მას შემდეგ განუწყვეტლად სთოვს. ვგონებთ, სასურველზე მეტიც მოვიდეს. ნამდვილად შეეიტყო, რომ აბასთუმანსა და ახალციხეს შუა გზა შეუტარავს თოვლს.

\* \* \* იქიდაბვე: აქაურ სცენის მოყვარულთაგან 21 იანვარს წარმოდგენილი იქმნა რუსულ ენაზე „Ире-

გროშიც არა აქვს. მამ რა მოსატანი იყო აქ გულ-უხეზობა და არ დაზოგვა კრება-სა? რაც კაცს თვითონ არა აქვს, იმისი უხვად გაცემა და არ-დაზოგვა რა ისეთი ვაჟკაცობაა, რა ისეთი სასახელოა, რომ კაცმა კაცი ამისათვის აქოს და ადიდოს? მითამ რა ეწვის, რომ ეს წვა-დაგვა სამსახურად და ქველობად ჩათვალოს? აქ ან ის კაცია სასაცილოდ მგდებელი, ვისაც ამ გზით და მიზეზით აქებენ, ან ის, ვინც ამ გზით და მიზეზით აქებს და უნდა ამით ლარი გაიტანოს. ჩვენში-კი რომ ითქვას არც ერთია მოსაწონებელი და არც მეორე. მამ ტაში რაღა იყო? იკითხავთ: აი ნასკვი ეხლანდელ სიბრძნე-სიტყვისა სწორედ აქ არის და თქვენ გამოხსენით.

როგორც იყო გათავდა ეს ქება-დიდების ზარის რეკაც და თხლად ტყლაშუნი ტაშია ჩაბარდა თავისს პატრონს. დიწყეს ლაბარაკი იმაზე თუ—საჭიროა თუ არა აწ არსებულ სკოლასთან გამართულ იქნას სამეურნოე სკოლა? გამარჯვებული და გამხევეებული თ. ი. მაჩაბელი, რა თქმა უნდა, აქაც წამოხტა თავისეზურად. მეგონა, აბა ესლა იქნება სერი-მეთქი. ჩემს გაკვირვებას სამზღვარი არა ჰქონდა, როცა ბაგეთა

„ДОЖЕНИЕ“ ხუმრობა 1 მოქმ. ჩეხოვისა და 3 მოქმ. კომედია რუსოხინისა „ВЪ СТРАХЪ“. საზოგადოება საქაოდ დაესწრო. წმინდა შემოსავალი გამართულ წარმოდგენებისა დანიშნულ იყო სასარგებლოდ ბორჯომის სახელოსნო სასწავლებელში ღარიბ მოსწავლეთათვის.

### ქ რ მ ს კ მ ნ დ მ ც ი ა.

მარტო. (თიანეთის მახრად) 23 იანვარს. შემოდგომა ჩვენში მეტის-მეტად ადრეაჩ ქანუდღიანი იყო; მუდმივის წვიმების გამო კარზედ მოჩანდა დადგმული მნები მთლად დაღმა—გაუწყდა. ზამთარიც ამნაინსავე ამინდებით დაიწყო, ისე რომ აქაურნი შეკადრნი დადას ტალახებისა გამო გარეთ ვერ გამოდიოდნენ, რომ შუა-ნახშირად მოტახათ შინ თავიანთ საჭირკობისათვის და კერძ ქალაქს მაქებდათ გასასუიდად. გაჭრება შუა ნახშირით შეადგენს ერთ უმთავრესს საღსარს კრწოვლების ცხოვრებაში.

იანვრის ნახევრადამ დაიწყო თოვლა, რომელსაც განუწყვეტლავ თანა სდევს ქაბა და ისეთი დადი თოვლი მოვიდა კრწოში, რომ სასხადამ გარეთ ვეღარ გამოვსულავართ. მოსალაფრებლად, რომ ამ სუსხიან ამინდების გამო კრწოში სსხვა-და-სსხვა ჯადამდები ავადმყოფობა გაჩნდეს, რადგანაც კმადეიურია ავადმყოფობა ზადეად იგადებს აქ ფესს, როგორც უმეტრებით მოცულს კუთხეში. საქაჭოვლას სსხვა სოფლებ-დაბუში სოკოსავით მრავლებიან წავნთ-სავაგ-სამეითხეველები, სხლო ჩვენ კრწოვლებისათვის-კი, ამნაინი დაწყებულია ჰერ კიდევ მლაერ ადრე და შეადგენს მხოლოდ სახატრულ სურვალს მარს მომავალში. ჰერ სხობით კი-სურვებთ, რომ კრწოში ჩქარა დაასრულებიყოს სამეურნალო თავსებათისა. რადგანაც აღმრულ იყო კითხვა ამ სსხვაზე, სამართლდინობა მოათხვავა კრწოს უმბარტესობა მისცემოდა თიანეთის მახრადში, მაგრამ თუ ეს ესე არ მოხდა, ესლა მანც მაქცეს უურად-ღება.

დარო ზუკაი შვილისა.

მისთავან წარმოდინდა შემდეგი: ჯერ რადგანაც მე არ გამოიმირკვევია ნათლად საქარობა სამეურნოე სკოლისა, ამიტომაც აი აღვსდევ და მივდივარ და კენჭის ჩამოტარებაში მონაწილეობას ვერ მივიღებო. გავოცდი და რადგავოცდი ბოლოს შეიტყობთ. ადგა ეს ვაჟ-ბატონი და ისევ ვაჟკაცურად და ყელ-მოღერებით გავიდა კრებიდამ. აიშალა ის ერთი კუნტულიც დედა-ბუღიანად და როგორც კრუხს წიწილები უქან გავედგენენ. კრებამ თუმცა არა სთქვა, ვაი უმი-სოდ რა გვეშველებოა, მაგრამ თვითონ თ. ი. მაჩაბელი კი უსათუოდ იტყოდა: აბა ესლა დაიღუბნენო, აი!..

ღვთის მადლით, კრება მშვიდობით გადაჩრა ამ ღვთის-რისხვა უბედურობას, რომ თ. ი. მაჩაბელმა ასე უნუგემოდ დასტოვა და კენჭის ჩამოტარებაში მონაწილეობა არ მიიღო. მეც მადლობა შეგწირე ღმერთს, რომ თავზე ცა არ წამოგვექცა, თორემ შენი მტერი. წარმოდგენით, თ. ი. მაჩაბლის გულ-ქეობა, მოკითხვის კაციც არ გამოგზავნა შეეტყო ურემოდ დაიხოცნენ, თუ კიდევ სული უღვათო. რაც იყო იყო, მორჩა და წავიდა.

ახლა საქმე რაშიაო? აქ სიბრძნე-სიტყუე რა შუაშიაო? მკითხავთ.



# უცხოეთი

**გერმანია.** ბერლინელი გაზეთების სიტყვით, იმპერატორმა ვილჰელმმა ერთი გამოჩენილი გერმანელი მეცნიერი ინახულა. მეცნიერი ხანგრძლივ საუბარში უჩვენდა ვილჰელმს ნამდვილი პარლამენტარული რეჟიმის შემოღებას, რადგან ეს, მეცნიერის აზრით, საუკეთესო საშუალება იქნება სახელმწიფო წესწყობილების მოწინააღმდეგეთა საბრძოლველად. იმპერატორმა მოთმინებით მოისმინა მეცნიერის საუბარი და შემდეგ უპასუხა:

— „ნუ-თუ შენ გვერათ, რომ მე შემოიღო მოვიქცე ჩემი გულითადი რწმენის წინააღმდეგ და შემოვიღო ის, რასაც სახელმწიფოს პოლიტიკური მდგომარეობა არ საჭიროებს. ამნაირი პოლიტიკა უარ ჰყოფს მთელ ფილოსოფიას. ჩვენ პარლამენტში შეხვედებით უმრავლესობას, მაგრამ ნამდვილი უმრავლესობა-კი იქ არ არის. მაშ ვისთან უნდა ვმართო მე სახელმწიფო? მე თავის ნება კაცი როდის ვახლავარ, სიამოვნებით დავემორჩილები იმ კრების გავლენას, რომელიც ნიჭიერ კაცებისაგან იქნება შემდგარი, მაგრამ ნუ-თუ მე უნდა ვიქნე წამყვანებლად ისარგებლოს ჩემმა ხსენებამ იმ უფლებებით, რომელიც მას კონსტიტუციამ მიანიჭა, მოსპოს პარტიების საჭიროება დაქაჩვავა, აირჩიოს მტკიცე რწმენის მქონე კაცები. ყველა მაგას პირადად ჩემთვის არ სასიამოვნო შედეგად თუ ექნა, პირველად მაინც მე ვაჩვენებ ხალხს კონსტიტუციისადმი პატივისცემას. ჩემი აზრები ხშირად გაუგებარი რჩებიან, თუმცა მე სულაც არ ვმალავ ჩემ აზრებს. მე დიდის გულმოდგინებით ვფასობ იმ მოვალეობას, რომელიც განგებამ მარჯუნა და როდის მწადია ძალად ჩაუნერგოს სხვებს ჩემი აზრები. ყველა თავისი სურვილისამებრ მოიქცეს, ოღონდ

იმასთან, ბატონებო, რომ ამ სამი-ოთხის წლის წინად სათავად-აზნაურო სკოლის კომიტეტს დაუდგენია, — აწ არსებულ სკოლისთან საჭიროა გამართულ იქნას სამეურნო სკოლაცო. ჩამოთვლილია-რა გარემოებანი ჰქონია ხსენებულს კომიტეტს საბუთად იმ დადგენილობისა, რომელიც ასე თავდება: „ამ გარემოების მიხედვით უნდა დაარსებულ იქნას ქალაქის გარეშე სამეურნო სასწავლებელი სამის წლის კურსით, სადაც შეეძლოთ შესვლა ყველა იმ მოსწავლე ქმაწვილებს, რომელნიც ათავებენ კურსს სათავად-აზნაურო პრაგმატიზმში და სხვა და სხვა მიზეზების გამო ვერ ახერხებენ სახელმწიფო სასწავლებელში შესვლას.“ \*)

სიტყვა-სიტყვით არის ეს დადგენილება ამოწერილი. როგორ გონიათ, ვის უწერია ხელი ამ დადგენილებას? სხვათა შორის? არამც და არამც თ. ი. მაჩაბელს, რადგანაც თვითონვე ამ 23 წარსულს დეკემბერს დავეფიცა, რომ სამეურნო სკოლის საჭიროების თაობაზე ჯერ აზრი ნათლად არა აქვს გამორკვეული და სამის და ოთხის წლის წინად სად ექნებოდა. ხომ!.. კარგი და

\*) იხილეთ მეტყველები გვერდი სკოლის საქმეზე ამორჩეულ კამისიის მოხსენებისა.

კანონები იქნენ მტკიცედ დაცულნი. მხოლოდ ჩვენი პოლიტიკური ბედობის მართვაში საკუთარმა ჩემმა ძალადონემ თუ არ იქმარა, მე დღის წინაშე მაგაში არ მედება ბრალი. ჩვენმა ხალხმა ბრწყინვალედ დაანახვა ქვეყანას თავისი მხედრული მოწიფულება — ჩემი პაპა შეუდარებელი სარდალი იყო, პოლიტიკას-კი სარდალობას კონსტიტუცია უწევს და ჩვენს დროში პოლიტიკური მდგომარეობის შემოქმედი მთელი ხალხია და არა ერთი კერძო კაცი. მითხარით, სად არის ნამდვილი უმრავლესობა მტკიცე ხასიათისა და შეურყეველ რწმენის კაცები? მაჩვენეთ მე ისინი და მე უმადლესი პატივისცემით მოვეპყრობი იმათ. დემერტმა ქნას, რომ მალე შესდგეს იმისთანა უმრავლესობა, რომელიც კერძო ინტერესებს მთელი ხალხის ინტერესებს ანაცვალებს, მხოლოდ ამნაირად შეიძლება დამყარდეს ხალხის კეთილდღეობა და შეეძინოს მას ძლიერება გარეშე პოლიტიკაში.

**ოსმალეთი.** უცხო სახელმწიფოთა კონსულები უკვე მივიდნენ ზეითუნს და დიწყეს მოლაპარაკება აჯანყებულებთან. კონსულები იწერებიან, რომ აჯანყებულნი ცუდს მდგომარეობაში არიან: მრავალი ავადმყოფობა სწყვეტს ხალხს. ოსმალეთის ჯარის მდგომარეობაც ვერ არის სასურველიო, იქაც ბევრი იხოცება სხვადასხვა სენისაგანა.

**ინგლისი.** ბოლოს დროს გაზეთებმა დაიწყეს ლაპარაკი, რომ შესაძლებელია ინგლისმა თავი დაანებოს ეგვიპტეს და ამით დაუმეგობრდეს საფრანგეთსაო. ახლა სოლსბერის ორგანო „სტანდარდ“ აცხადებს, რომ ბრიტანიის მთავრობას ფიქრადაც არ მოსვლია ეგვიპტიდან ჯარის გამოყვანით საფრანგეთის გული და მეგობრობა მოიგოსო. ინგლისს სურს მეგობრული კავშირი დაიქორსოს საფრანგეთთანაო, მაგრამ ამისთვის არც თავის ინტერესს, არც

პატიოსანი. წარმოიდგინეთ, რომ სწორედ თ. ი. მაჩაბელს ხსენებულ დადგენილებაზე ხელი უწერია, ვითარცა სათავად-აზნაურო სკოლის კომიტეტის წევრსა!.. გესმით, ბატონებო, იმ თ. ი. მაჩაბელს, რომელიც 23-ს წარსულს დეკემბერს გვეფიცებოდა ამ სკოლის საჭიროებისა ჯერ ნათლად ვერა გამამიკვევია, აზრი არ შემოდგენიაო! გესმით, ბატონებო, ესლა ჩემი გაოცება, როცა თ. ი. მაჩაბელის ბედნიერის ბაგისაგან გავიგე მე ეს „არ გამოიმიკვევიაო“.

ვიფიქრე: იქნება ეს თ. ი. მაჩაბელი ერთია და ის თ. ი. მაჩაბელი, რომელსაც დადგენილებაზე ხელი უწერია, მეორე-მეთქი. ვკითხე ერთს ჩემ გვერდით მდგომარეს: ერთი მიბრძანეთ, სხვა თ. ი. მაჩაბელი, ხომ არსად არის საქართველოში-მეთქი? იმან ისე შემომხედა, თითქო გამიწყრა: „როგორ არა გცხვენინ და მაგას ჰკითხულობო? განა თ. ი. მაჩაბელი პანტაა, რომ ვერა წყვილ-წყვილად ცვიოდეს ციდანაო“. პასუხიც არ მაღირსა, მიბრუნდა და ზურგი შემომაქცია. ვიფიქრე: უსათუოდ ბნი ალექ. მიჩაშვილი იქნება ეს ვაჟ-ბატონი-მეთქი. ნამდვილად-კი არ ვიცი დღესაც ვინ იყო.

ამას გძლად განმარტება არა სჭირია. ეს ორ-თავიანობა, ეს ორ-პი-

რისაობა, ეს ორგულიანობა ერთსა და იმავე საქმეში, ეს ასეთი აშკარად ჰაშას კვრა იმაზე, რაც გუშინ უთქვამს და რაზედაც ხელი უწერია, თვის თავად გვეუბნება რას ჰქონდა და რას მოასწავებს. „ასე, ჩემო მანსეო, ხან ასე და ხან ისეო“, სწორედ ამასა ჰქვინ. აღარ იკითხავთ: თუ დღემდე არ გამოურკვევია საქართველა სამეურნო სკოლისა, ამ სამის-ოთხის წლის წინად სადა ექმნებოდა გამორკვეული? ან თუ მაშინ გამორკვეული ჰქონდა, ესლა რა ალაღმა დაჰქროლა იმისთანამ, რომ რაც სიმღერები იცოდა, სულ დაავიწყდა განა დასაჯერებელია გულმართლობა ამისთანა ადამიანისა ან როცა „ჰოს“ ამბობს და ან როცა „არას!“ ადამიანი ბუმბული ხომ არ არის, რომ ქარი ხან აქედ ატრიალებდეს და ხან იქით!

აღარ იკითხავთ: როდის იყო გულმართალი თ. ი. მაჩაბელი? მაშინ, როცა სამი-ოთხის წლის წინად ამტკიცებდა, რომ საჭიროა ჩვენთვის სამეურნო სკოლაო, თუ 23 წარსულს დეკემბერს, როცა გვეფიცებოდა ამ საჭიროებისა ჯერ არა გამოიმიკვევია რაო და აზრი არ შემოდგენიაო? ამბობენ, 1884 წ. ბანკის გამგეობას ამ საგანზევე სჯა ჰქონია და ერთხმად, თ. ი. მაჩაბელთან

თავის სახელს არ უღალატებდა და თუ საჭიროება მოითხოვს, უსაფრანგეთოთაც გასძლავს.

## შურნალ-გაზეთებიდან და ჟინებიდან

ამოკრებილი ამბები.

— ჩვენა საბედნიეროდ, გონება ადამიანისა დაუღალავად ირჯება და მოქმედობს. თითქმის დღე არ გადის უმიხოდ, რომ სადმე ახალი რამ არ აღმოჩინოს მეცნიერებამ. არა არის-რა ისეთი საიდუმლო, რომ ბოლოს არ აღმოჩნდესო. ნუ-თუ ეს თქმული ისე ეკუთვნის ბუნების მოვლენათაც და ძალთაც, როგორც ადამიანის მოქმედებას-სიანს ესეა. ვილაცაში სთქვა მეცნიერებამ ბოლო მოვლება მაშინ, როცა ყოველივე საიდუმლოება ბუნებისა აღმოჩენილი იქნებოდა. განა დასასრული-კი აქვს ბუნების მოვლენათა ფარულთა და არა ფარულთა? არა გვერანი. ყოველს თამბას ადამიანისა, რაც გინდა ამ გაზეთ წინ ვიდოდეს, იმდენ რამ დარჩება აღმოსაჩენად, რომ შეუძლიან სამართლიანად სთქვას: ბევრი რამ არის ცხად-ვაც ქვეყანაზე იმისთანა საიდუმლო, რომელიც სიზმრადაც არ სჩვენება ჩვენს ფილოსოფოსებსაო.

აი ხელაც რა ახალი ამბავი მოგვიტანა ჟურნალ-გაზეთებში. უკვე მოგვსვენებთ, ტელეგრაფმა რა სისრულემდე მიიღწია. კაცს ვგონა ამაზე მეტს სხვას რასა იქმს ტელეგრაფი, რომ უშეფლებელ მანძილზე კაცი კაცს ამბავს ატყობინებს თვალის დახამამების უშლავით. მაგრამ ადამიანის გონება ამას არ დასჯერდა. მეტსა ჰნდამდობდა. კარგა ხანია, ეს სამი-ოთხი წელიწადი იქნება, რაც ტელეგრაფმა მოახერხონ, რომ ტელეგრაფმა სახისა და ნაწერის ასლი (კოპი) გადასცეს ხოლმე. აბაბტმა ჯოჯონი კახელმა ერთი ამისთანა იარაღი მოიგონა, რომ ტელეგრაფმა გადოდოს ხოლმე ასლი რაბტისა. ამ იარაღსა ჰქვინა „პანტელეგრაფი“.

ესლა-ხან ამერიკანელს ვიდაც ლოდეს მოუგონია სხვა ახალი იარაღი, რომელიც ნახატს, გამოხატულობას რისამეს გადასცემს ხოლმე ტელეგრაფით. ჟურნალში, საიდანაც ამოვიღეთ ეს ამბავი, დახატულია კაცის სახე, რომელიც გადაუღია და გადაუტია ტელეგრაფს ლოდის იარაღით, ანუ, აპპარატით და თვითონ აპპარატს არის დახატული. იგი ძალიან მარტივი რამ არის. უმთავრესი ნაწილი ამ აპპარატისა ბადავი იმის მხვავის, როგორც ქარქაზე გააბნებს ხოლმე. ამ ბადავს 476 ოთხკუთხე თვალი აქვს. თვითოველს თვალს თავისი ნიშანი უხის, ან ციფრით, ან ასო-

ერთად, გამოურკვევია და ცხადად და ნათლად მოუხსენებია ზედა-მხედველ კამიტეტისათვის საბანკო კრებაში წარსადგენად, რომ მეტის-მეტად და აუცილებლად საჭიროა სამეურნო სკოლა ჩვენთვის, პირდაპირი სარგებლობა მისი ჩვენთა მიწათ-მომქმედთა და მიწათ-მფლობელთათვის ცხადია და ყოველ ეჭვ გარეშეაო და ამ არსებობის საჭიროებას იმისთანა მიწათ-მომქმედ გუბერნიისათვის, როგორც ჩვენი გუბერნიაა, უნდა უსათუოდ ეშველოს რამეო, და ესლა კი გვეუბნება იგივე თ. ი. მაჩაბელი ჯერ ამ სამეურნო სკოლის საჭიროებისა ნათლად არა გამოიმიკვევია-რაო? რომელი ერთი დავუჯეროთ? თუ მაშინ გონება მისი ამ საჭიროებას ნათლად ჰხედავდა, ესლა რა განაბამ დაუბნელო? აქ ქარის ძლიერება უფროა საკვირველი, თუ ბუმბულის სისუმბუქე და სიმჩატე? ეს თქვენ გამოიცანით, ბატონებო, და მე-კი ამის დავი-დარაბისა არ ვიცი-რა.

მე ასე ვფიქრობ: იქნება, მას მერმედ ამანაც, ესე იგი, თ. ი. მაჩაბელმაც იგი ბოდაზი სამეურნო ცოდნისა იპოვა ჩვენში, რომელიც ტელეგრაფით დაუნახავს ლილოელს ვარსკვლავთმორცხველს თ. მ. მაჩაბელსა და რომელიც 23-ს დეკემბერს ჩვენ გვაუწყა.

თი. ერთი ტელეგრაფი მეორეს ამ ციფრის, ან ასოს ანიშნებს, მეტელეგრაფე ვერტიკალურა სხამს ნანიშნავ ადგილას და მერე ამ ვერტიკალურს ზედა-მხედველთათვის და გამოდის ნამდვილი სურათი იმისი, ვისიც სახე გადაცემულია ამ გზით. ჩვენ რასაკვირველია, თავი და თავი აზრი ამ აპპარატისა ვუჩვენეთ აქ და ვგონებთ საქმეო იყოს, რომ კაცი მიუხედავს რა გზით მოქმედობს ამ შემთხვევაში აპპარატი ლოდისა, თორემ დაწვრილებით ახსნა ამ აპპარატისა დაუხანავად შეუძლებელია.

— ყველა იცი, რომ თითქმის ყველა პირუტყვეზე უტყვიანს და გონებანი სპილოა, ეს უზარმაზარი ოთხ-ფეხი. მაინც და მაინც ბკუთა და გონებით სპილო ბევრით არ ჩამოუვარდება ძალსა და მამიუნსა. აი რას მოგვიტარებენ ამ საშინელ პირუტყვისას. ერთს იწყენს ტყეშია სპილო, ავად გახდომია თვალის ტკივილითა ასე, რომ საცოდავს პირუტყვეს ვეღარ ეხილებინა თვალი. მოუწვევია მკურნალი დოქტორი უეხები და უთხრენია უწამლე რამეო. წაუქცევიათ სპილო და მკურნალს რადაც ცხარე წამალი ჩაუსხამს ჯერ ერთს თვალში საცდელად. სპილოს საშინლად დაუღრიალია სიმწაფისა და ტკივილისაგან. მალე ჰრგებია წამალი და სპილოს ცოტად აუხილებია კიდეც თვალი. ამის მხანხვად მკურნალს ახლა მეორე თვალის წამლობა დაუწყვია მეორე დღეს. როცა გამოიყვანეს სპილო და იცნა ხმა მკურნალისა, თითონვე გაწვა, ბანებას აღარ დაუტყდა, თავი გვერდზე დადო ისე, რომ ნატყენი თვალი ზემოდ მოიქცია, ხორთუმი აიკრია და დაიხვია, სული განაბა, როგორც ადამიანმა, როცა ამისთანა რასმეს ელის, მშვიდობიანად აიტანა სიმწაფე წამლისა და როცა მკურნალი მორჩა თავისს საქმეს, სპილო გახარებული წამოდგა და ხორთუმის ქნევით და მოძრაობით ცხადდ გამოხატა სურვილი მადლობის გადახდისა. ამ ამბავს იწყებდა კალკუტის ეპისკოპოსი დანიელ უილსონი.

უფრო საკვირველს მაგალითს სპილოს მიხედვითობას აი რა წარმოადგენს. პრაგაში (ჩემის ქალაქია) ცოკი ყოფილა გამართული. დიდ-ძალი ხალხი დასწრებია ასე, რომ სამი ათას ფლორინამდე აუღია იმ დღეს ცირკის პატრონს. როგორცაც მომხდარა და ცირკის პატრონი და მისი საყვარელი სპილო ერთს ოთახში დარჩენილან საძილოდ. უეცრად ძილში რადაც ხმაურება მომხდინა, მით უფრო შეფიქრებულა ცირკის პატრონი, რომ იმ დღის ნაშრომის ფულიც იქვე ოთახში ჰქვინა ზანდუქში. ბევრი აღარა უფიქრია-რა, მისულა და აუშვია სპილო. არ გასულა ორიოდვე წუთი ერთი უშველებელი ალიანქოთი და ხმაუ-

რთობა, თითქო ერთი ბრძოლა და კილილია. აუთია სანთელი და შემდეგი სურათი დაუნახავს, სპილოს ვილაცა უცნობი კაცი დაუტყვია მარა ვერტიკალი ხორთუმით და ის კაცი ბარტყალებს, რომ როგორმე თავი დაიხსნას ამისთანა ხვედრისაგან. სპილოს ბუნადაც არ ჩაუგდია ამის ბარტყალი და გულდინჯად სტყვია ხორთუმით თავისი ტყვე ისე კი, რომ არც ატყინოს რამ და არც გამოუსხლტეს ხორთუმად. როცა დატყვევებულმა ჰაჰტენა დაუწყვია ხორთუმს, აცა იქნება გამიშოსო, სპილომ კი ბკუთა ასწავალა აილა და კედელს მიანარტხა, მეორედ ნულარა იქო. ავახაჰმა, რაკი ჰნახა, რომ ვეღარას გახდებდა, მიწყნარდა და თავის ბედს დაემორჩილა. ბკუთანი პირუტყვი-კი სულ პატრონს შეჰყურებდა, თითქო ეკითხებოდა, ამ კაცს რა ვუყოვო. მინამ პატრონმა პოლიცია არ მოიყვანა სპილოს ის კაცი დატყვევითა და პოლიციას თურმე ემალებოდა, თუმცა ძალიან უძებნიათ. სპილოს დაუნახავს, რომ მე ჩემი საქმე გავათავე, აქ საჭირო აღარა ვარა, წასულა თავის ადგილას და თავი მიუტია ძილისათვის.

ერთს სხვა ამბავსაც მოგვიტარებენ. ერთი უპირველესი საჩვენებელი ერთს ხოლმე, რომ სპილოს გადუგებენ ერთს წვრილს რასმე ფულს და სპილომ ხორთუმით უნდა აილოს. მოხდა ისე, რამ ასე გადადებულ რადაც ძალიან წვრილი ფული დაცა შიგ კედლის ძირში. რამდენიც სპილომ ხორთუმი მიავლინა ფულის ასაღებად, კედელმა დაუშალა. ჰნახა, რომ ვერასა ჰხდებდა, ცოტა-ხანს გაჩერდა და პოლიციას თურმე როგორ მოახერხოს ფულის აღება. იფიქრა, იფიქრა და ბოლოს გასტიმა, რამოდენად შეეძლო, ხორთუმი თითქო მოზდილი მილიაო და ფულის ახლო მიიტანა. მერე რაც ძალი და ღონე ჰქონდა უბერა კედელს, კედლიდან ქარი ეცა ფულს. ფული გამოგორდა და სპილომ მაშინ აიღო ხორთუმი-თა. აშკარაა, ყოველივე ეს მოისახრა სპილომ წინადვე. ადამიანსაც ზოგჯერ გაუჭირდება ამისთანა მოსახრება. (ბ. ი. ლ.).

**თეატრის მახინამ.**

დრამატულ მწერალთა მეფედ უნდა ჩაითვალოს შექსპირი თავისის ტრაგედიებით, რომელთაგან „ჰამლეტს“ პირველი ადგილი უჭირავს. ეს დრამა არის ისტორია ადამიანის სულისა. თუმცა თითქმის სამი საუ-

ესლა მაინც გვიბძანეთ: რასა ჰვავს ამისთანა საქციელი იმისთანა მძიმე საქმეში, როგორც სკოლის და მასთანამე ჩვენის მოზარდის თაობის განათლების საქმეა! ეს არის განა სიყვარული საქმისა? ეს არის განა გულისა და თავის დადება საქმისათვის? ეს არის განა იგი გულმართლობა, რომლის ნიშნადაც ასე ხშირად გულში ხელს იცემს ხოლმე ეს მართლა და „თამარზნელი ბუნლანქე“! ვინ რას იტყვის, თუ რომ ერთს კაცს ერთის სახის სკოლა მოსწონდეს, მეორეს-მეორის სახისა. ეს სხვა და სხვაობა აზრისა კაცთა შორის მართა ბ-ნ გ. წერეთელს მიანჩია ცოდვად და სხვას არავის ქვეყნიერობაზედ. ხოლო ეს „ჰო“ და „არა“ ერთსა და იმავე საგანზე ერთსა და იმავე კაცისაგან ხომ ან ერთია სიტყუე, ან მეორე. აქ სიტყუე ხომ აშკარაა ერთ-ერთში და აშკარა. სიბრძნე სადღა? ეგ თვითონ თ. ი. მაჩაბელსა ჰკითხეთ. აი ამიტომ მოგახსენეთ, რომ ეხლანდელი სიბრძნე-სიტყუე სულ სხვაა მეთქი.

მშვიდობით, ბატონებო, მეოთხე დღეა.

ჯიბრეილ.

კუნა მას მერმე, რაც ეს ტრაგედია არის დაწერილი, მაგრამ ღღესაც საუკეთესო გამოხატველია გრძობით ნაზისა და ბუნებრივი გონების მექანიკის ყმაწვილ კაცისა. ამ ტრაგედიის შინაარსია ბრძოლა სულის მიწრაფებასა და ამის აღსრულებას შორის და ტანჯვა იმისაგან გამოწვეული, რომ ვერ ასრულებს მას, რაცა გწადიან. ვერ ასრულებს, მაგრამ, რატომ? იმიტომ-კი არა, რომ ვინმე ხელს გიკერდეს, ან შეუძლებელი, მოუხერხებელი იყოს შენი საწადელის აღსრულება, სრულიადაც არა. მიზეზი სურვილის აღსრულებლობისა თვით ადამიანშია, მისი გრძობისა და გონებაში და ამიტომაც მთელი დრამა ჰამლეტისა სულში ხდება. აქ ერთი ადგილიც არ არის, სადაც ჰამლეტს სჭირდებოდეს გარეშე პირობათ შეებრძოლოს, სადაც გარეშე უძლებელ ძალე თან ჰქონდეს საქმე. ასპარეზი ბრძოლისა თვით ივია. მას სწადიან თავისი მოვალეობა აღასრულოს— შტრი იძიოს, მაგრამ ამისათვის ხან საკმაო საფუძველი არა აქვს, ხან რიგთან დროს ვერ პოულობს შურისძიებისათვის. უმთავრესი მიზეზი-კი კიდევ მისი სულიერი არსება არის. იგი მეტეს-მეტი გრძობიერი ადამიანია. ისეთი უბრალო შემთხვევა, რომელიც სხვისათვის შეუმჩნევლად დარჩებოდა, ისეთს შთაბეჭდილებას ახდენს მასზედ, რომ თითქმის მოთმინებიდამ გამოჰყავს. მაგრამ, როგორც უეცრად იფეთქებს ხოლმე, ისევე უეცრად ჩაქრება მისი აღფიქვთება. მისი გონება იმდენზე განვითარებულია, რომ სულეც მოძრაობას აღარც-კი დარჩენია ადგილი, ყოველი მისი სულიერი მოძრაობა უთუოდ თავში გაივლის, იქ ათასჯერ გადადულდება და მერე, რასაკვირველია, დასუსტებული დაიღუნებული, გამოდის. ჰამლეტის გრძობა ამბობს: მოჰკალი ბიძა შენი, ის არის მაიშენის მკვლელი, გონება-კი ეურჩება: ჯერ გაიგე, დარწმუნდი, რომ ეს ნამდვილია, მერე მოიქეცი როგორც გინდა. დამტკიცება უკეთესი რაღა იქნებოდა, რომ აზრდობი გამოცხადა, და ყოველივე უთხრა, მაგრამ ეს მიანიც არა ჰყოფნის; წარმოდგენას ამართინებს და იქაც რწმუნდება რომ აზრდობის სიტყვები მართალია. ჰყოლობს დროს ბიძის მოკვლისას, გრძობა ეუბნება აბა მოკლო, გონება-კი წინააღმდეგობა: ლოცვის დროს მოჰკლავ, მაშინ ხომ ცხონდება, ისე უნდა მოჰკლა, რომ საიქიოცა და საიქიოცა დაეკარგოსო. ასეა სულ ბოლომდის, როცა ჰამლეტს მოკლდის დროც აღარა აქვს, როცა დაჭრილია და მისუსტებული, როცა გონება თითქმის მიყუჩებულია.

ესეც უნდა ვსთქვათ, რომ გადაჭარბებული გრძობიერება, ნერვების სისუსტეს ნიშნავს და სუყველა ეს-კი არაფერს ნორმალურს არ წარმოადგენს. ამიტომ ჰამლეტი ცოტა ვერ არის ნორმალური არსება, თითქმის სულით ავადმყოფია. თუმცა კი ამბობს, ისე მოვიჩვენებ თავს ყველას ვითომ გიჟი ვარო, მაგრამ არ ვიცი ნამეტნავად გატაცებულია თავისი როლით, თუ უფრო მართლაც გიჟი არ ვიტყვი, და სულით მრთელი არ-

სება არ არის. თუმცა ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს არა ნორმალური სულის მდგომარეობა არაფერს ისეთს არ წარმოადგენს, რომ ჰამლეტი გიჟად ვინმე მიიჩნოს.

მაგრამ უბრალო თეატრის მატანეში განა შეიძლება ჰამლეტზედ რაიმეს თქმა. ამ ტიპის განჩენებს დიდებულმა მწერლებმა დიდი დრო და შრომა მოანდომეს. მის განხორციელებას სცენაზედ მრავალი გენიოსი არტისტი სცდილა. ყოველივე მათგანს თავისებურად აუხსნია ეს როლი, ყოველივე მათგანს თავისი წვლილი შეუტანია ამ სამაგალითო ნაწარმოების ახსნა-შეგნებაში. რასაკვირველია დიდებულს მწერალს ნაწარმოებში შეჰპარვია ისეთი რამ, რაც ეხლა ჩვენ გვეჩოთრება, მაგალითად აზრდობის გამოცხადება. შეიძლება, როგორც ზოგიერთი კრიტიკოსი ამბობს, შექპირიც ვერ ასცდა დროსა და გარემოების გავლენას, შეიძლება ისიც, რომ სხვების გასაგებად მისცა ადგილი თავის დრამებში ისეთს რამებს, რაც სინამდვილის წინააღმდეგია. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ არტისტები იქამდისაც მივიდნენ, რომ ამ შეუფერებელ ადგილებს ასწორებენ და თავისებურად ხსნიან. მაგალითად, ჩვენ გავიგონია, რომ ვიღაც ერთი ამ დიდებულ არტისტთან (მგონი სალინი) თურმე უაზრდოდ თამაშობს. მაშინდელ დროში ცრუ-მორწმუნობა დიდად გავრცელებული იყო. დანიის მეფის მოკვლა ყველამ იცოდა. ამიტომაც ყველას ელანდებოდა, რომ მისი აზრდობი დაბოროტავდა. ხოლო ჰამლეტს, როგორც სულით უნორმალო ადამიანსაც ეჩვენება ეს აზრდობი სრულიად ცხადად და მთელს მონოლოგს აზრდობისას თვითვე ამბობს და ამგვარად მაყურებლებს სრულ სინამდვილედ ეჩვენება. არტისტი უხატავს საზოგადოებას ჰამლეტს მეტის ტანჯვისაგან დასუსტებულს, სულით უნორმალო არსებას, რომელსაც გალიუცინაციები-კი ეწვევა ხოლმე. ზოგი ჰამლეტს სწორედ ისე ხატავს, როგორც ცოტა არ იყოს, სულით ავადმყოფს (მუნე-სიული), ზოგიც ჰამლეტის სიტყვები, თავს მოიგვიანებო, სინამდვილედ მიანჩია და ამნაირად არდგენს ჰამლეტს. ბ. მესხ-შვილიც ამ უკანასკნელთაგანს ეკუთვნის, მაგრამ გვაპატივოს ტალანტის მექონე არტისტმა, თუ ვეტყვი, რომ მან ჰამლეტის როლი მხოლოდ რიგთანად ასრულა, არ წაუხდენია, თორემ არაფერი ახალი ამ როლის ახსნაში არ შეუტანია. ჩვენ გვგონია, რომ ბევრს უშლიდა ისიც, რომ ხმა არ ჰყოფნიდა ამ როლისათვის, რაიცა სიცხველეს აკლებდა მის თამაშს, ძალას უკარგავდა. ჩვენ ისიც მოგვეჩვენა, რომ ბ. მესხ-შვილი ქეიფზედ არ იყო.

უფერულად გამოვიდა დიდებული მონოლოგი ყოფნა არ ყოფნა. უფერულად აღასრულა (შედარებით) სცენა წარმოდგენის დროს. მეოთხე მოქმედებაშიც ვერ იყო კარგი. კარგად აღასრულა მხოლოდ სცენა დედასთან და პოლონიუსთან მეოცე მოქმედებაში. დიდად გვიკვირს ქნმა საფაროვისამ რად აიჩნია ეს პიესა. არა გვგონია მართო მისთვის, რომ

ხალხი მიეზიდა, მომენტისე უნდა ეცადოს ისეთი როლი აიჩნოს, საცა მისი ნიჭი სახეებით იხატებოდეს საზოგადოების წინაშე. ქნმა საფაროვისამ-კი სწორედ ისეთი როლი აიჩნია, რომელშიაც სრულიად არა ხსანს მისი დიდი ნიჭი, იგი საუკეთესოდ თამაშობს კომედიის როლებს და ტრაგედიული ეხერხება იმდენზედ, რომ არ ახდენს მას, როგორც ნიჭიერი არტისტი, სხვა არაფერი. ამიტომაც იყო, რომ თავის ბენეფისში მომენტისე მეტად უფერულად გვეჩვენა. ხმაც როგორღაც ვერა ჰქონდა ამდღეს კარგი.

ყველაზედ უკეთესად სწორედ მშვენიერად ასრულებდა ბ. ნი. გედევანოვი თავის როლს— ციბიერისა და ვაქნილის სახახლის კაცისას. რა ციბიერება იხატებოდა მის სახეზედ ხოლმე, რა ბოროტი ჩუმი ღიმილი იხედებოდა მის ბაგებზედ, როცა ჰამლეტს დელაპარაკებოდა ხოლმე.

ამას თუ მასაც დაურთავთ, რომ ერთხელაც არ გადაუქარბებია ბ. ნი. გედევანოვს, დამერწმუნებთ, რომ ძალიან კარგად ითამაშა. კარგად თამაშობდა აგრეთვე ბ. კ. მესხი ჰატარა როლს მესაფლაისას.

სხვები-კი დემრთმა შეინახოს. როლი არცერთმა არ იცოდა გარდა ბ. ნი. მესხისა და ბ. ნი. გედევანოვისა. არაფრით არ შეგვიძლია ვაპატოთ ისეთი ნიჭის პატრონს არტისტს, როგორც ბ. ნი. მესხი-შვილია, რომ ჰამლეტი მთლად ზებირად არ იცის. ეს იმასა ჰგავს მდევლემა რომ ალი-ლუია არ იცოდეს.

საყვედური უნდა ვუთხრათ ბ. ნი. რეისორს, რომ წარმოდგენას ეგრე გვიან იწყებენ და ეგრე გვიან ათავებენ. ეხლა მიანიც ისეთი დროა, რომ ყოველ დღე თითქმის საღამოებია და ბალები და უნდა ეცადოს ბ. ნი. რეისორი რაც შეიძლება მალე გაათავოს წარმოდგენა, რომ დამსწრეთ მიეცეს საშუალება სხვაგანაც წვიდეს. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ რაც უნდა ვიქადაგოთ ჩვენი საზოგადოება ბალებში სიარულს არ მოიშლის და თუ გვიანდა თეატრში-აც მოვიდეს, ყველაფერი ისე უნდა მოვაწყოთ, რომ იქ წასვლა არ მოეშალოს. არა ერთხელ შეუნიშნავთ, რომ პიანინო აღრევე უნდა დასდგან და არ აყურებინონ საზოგადოებას ამ ცერემონიისათვის.

**საქართველოს თავადნი.**

თავადნი მალაქაშვილი. საქართველოს მეფის ნახარა-აბო-ხანის 29 ივლისის 1701 წლის გუჯარში გამოქვეყნებული ცხელადსაქმის სკეტისა, მოურავი ამირან მალაქაშვილი თავადი არის წოდებული.

თავად მალაქაშვილითა გვარეულობა ნაგებობა ქარაღაის თავადთა სახში, რომელიც საქართველოს მეფის ერეკლე II-ის მიერ 1783 წელს რუსეთის მთავრობასთან შეკრულს ტრატატსა ჰქვს ზედ დაწერილი.

20 სექტემბერს 1825 წელს უმაღლესად დამტკიცებულს სახელმწიფო საბჭოს განჩინებით თავადებად დამტკიცებულ და V გვარეულობათა სახში შეტანილ არიან თავადნი მალაქაშვილი: 1) გაბაიელა და შვილი მასნა; დამიტრი, ნიკოლოზი, ალექსანდრე და

იოსებია; 2) კალაქისკი ასესორი ივანე და შვილი მასი გიორგი; 3) რევაზ და 4) გიორგი და მისივე მისივე მისი. უმატებულს სენატის დადგენილებათ 14 ივლისს, 1847 წ., 21 მარტს 1851 წ., 10 ნოემბერს 1852 წ., 17 აგვისტოს 1855 წ., 27 მარტს 1857 წ. და 11 სექტემბერს 1863 წ. ამ გვარს შეუერთდნენ თავადნი მალაქაშვილი: 1) კოსტანტინე და ილია ივანეს ძენი; 2) ამილახვარ რევაზის ძე; 3) გაბაიელა, სკამონ და დამიტრი ნიკოლოზის ძენი; 4) დავით და გასაიელა დამიტრის ძენი და 5) ესტატე მისივე ძე.

**დეგემა**

(რუსეთის დეგემათა სააგენტოსაგან).

**პეტარბურგი.** 25 იანვარს სახამთრო სასახლეში მათ იმპერატორებით უდიდებულესობათ ჰქონდათ გამართული მესამე ბალი.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ნება დართო კვლავ იყიდებოდეს ცალკე ნომრებად გაზ. „რუს. ველამ.“

დეგემა ტფილისიდან: „გულში და დღეს ტფილისში დაიკეტა რამდენიმე სკოლა, უმთავრესად საქალებო, რომელთაც სომეხთა ეკლესია განაგებდა, მთავრობამ სცნო, რომ ეს სკოლები არ ეთანხმებოდნენ 1884 წლის 6 თებერვლის წეს-რგვს უმაღლესად გამოცხადებულს სომეხთა სამრევლო სკოლებისათვის. წინადადება იქნა წარდგენილი, რომ ეს სკოლები გადასცენ საერო განათლების სამინისტროს, რისთვისაც ორჯელ დანიშნა ვადა, მნგრამ სომეხთა სამღვდლოებამ სკოლების დახურვა არჩია.“

**პარისი.** საბიუჯეტო კომისიამ ერთხმად შეიწყინა რამბერტის მოხსენება, რომ დანიშნოს კრედიტი ხელმწიფე იმპერატორის გვირგვინის კურთხევაზე დასასწრებლად.

**პარისი.** გამოცხადებულია ანგარიში, რომლიდან სჩანს, რომ რკინის გზების საზოგადოებებმა 1881 წლიდან 1884 წლამდე 1 1/2 მილიონი ფრანკი დაურიგეს შურნალ-გაზეთებს, რათა მათ დაიცივნ რკინის გზების პრივილეგიები. გამომდებელმა გამოიწვია ჩვენების ჩამოსართმევად დეპუტატები რუფიე კრისტოფლი, რომი და პასსი. გასჩხრიკეს აგრეთვე პარისის საერთაშორისო ბანკის დირექტორი.

**კოსტანტინოპოლი.** ჩამოვიდა ბულგარიის მინისტრი სტოილოვი და დაუყოვნებლივ წავიდა ილდიზისკენ.

**პენა** სტოილოვი ხვალ გადასცემს სულთანს პრინცი კობურგელის წერილს და, როგორც ამბობენ, სთხოვს სულთანს საგანგებო წარმომადგენელი გამოგზავნოს სოფიაში პრინცი ბორისის მართლ-მადიდებლად მონათვლაზე სადასწრებლად.

**პენა.** „წივი ჭრევი პრესის“ სწერენ რომიდან, რომ პრინცი ფერდინანდი არ იქნება განდგენილი ეკლესიიდან, ხოლო აეკრძალება წმ. ზიარება.

**რომი** კლერიკალურმა გაზეთმა დასტამბა წერილი ფერდინანდის წინააღმდეგ. ბორისის გადასვლა მართლ-მადიდებელ ეკლესიაში საქირო არ იყო, გაზეთის სიტყვით, ნაციონალური ინტერესებისათვის.

**სოფია.** მინისტრ-პრეზიდენტი კონსტანტინოპოლიდან დაბრუნდა ბულგარიის ექსარხოთან ერთად.

ერთი გაზეთი ამბობს, რომ ბორისის მართლმადიდებლად მონათვლა მოხდება მაშინ, როდესაც რუსეთიდან მოვლენ ისინი, ვისაც კარგა ხანია მოვლიანო.

**ლონდონი.** დელილი ნიუსა-ს ატკობინებენ რომიდან, რომ პრინციმ მარია-ლუიზა-კობურგისამ სთხოვა პაპის გააუქმოს მისი და ფერდინანდის ქორწინება. პაპი, თუმცა ის ძალიან შეაწუხა ფერდინანდის მანიფესტმა, ურჩია პრინციას ნუ ასრულებს თავის განზრახვას.

**ლონდონი.** „ტაიმს“-ს სწერენ კონსტანტინოპოლიდან, რომ იქ წუხელის დაატუსაღეს 12 კაცი, მათ შორის 1 პოლიკონიკი და 2 მაიორი სასახლის გვარდიისა.

**ნიუ-იორკი.** ეკვადორის რესპუბლიკის პრეზიდენტმა მიშპართა შუა ამერიკის დიპლომატებს და სტატუს-სეკურტარს ოლნეის ცირკულიარით, რომელშიაც წინადადებას აცხადებს საერთაშორისო კონგრესი მოვიწვიოთო მონროეს პრინციპის განსახილველადო.

27 იანვარი.

**პეტარბურგი.** დეგემა ხელმწიფე იმპერატორისა პრინცი ფერდინანდის მიმართ სოფიაში: „პეტერბურგი, 25 იანვარს 1896 წელს. გულწრფელად გილოცავ თქვენო უმაღლესობავ, რომ პატრიოტული გარდაწყვეტილება მიგილიათ, რომლის შესახებ მატყაბინებთ მე 21 იანვარს გამოგზავნილ წერილით. ჩემის ამაღის გენერალ-მაიორს გრაფს გოლენიშჩევი-კუტუზოვს მოაქვს თქვენთან ჩემი პასუხი და მასვე ვავალებ დაესწროს ჩემს მაგიერ თქვენის საყვარელის შვილის მართლმადიდებლად მონათვლას.“

მთავრობის განცხადება: „1886 წელს ბულგარიის სამთავროდან თავის აგენტების გამოწვევისთანავე რუსეთის მთავრობამ 28 ნოემბერს გამოაცხადა, რომ ამით მას სრულიადაც არ სურდა გაეწყვიტა ბულგარიასთან კავშირი. ბულგარიის სახელმწიფო შექმნა რუსეთმა საშინელების მსხვერპლითა და დიდძალის ენერგიით. ამიტომაც რუსეთის მთავრობას არ შეეძლო მხურვალე მონაწილეობა არ მიეღო ბულგარიის აწმყო და მომავალ ბედ-იღბლის მოწყობაში. რუსეთის მთავრობამ არა ერთხელ გამოაცხადა, რომ ელის მხოლოდ იმ დროს, როდესაც თვით ბულგარელნი წრფელის გულით აღიარებენ საქმეთა მდგომარეობის შეცვლის საჭიროებას, რათა ამით კვლავ განამტკიცდეს ორ ერთა შუა მეგობრული კავშირი. პირველი ნაბიჯი ამ ყამად გადადგა ბულგარიამ: პრინცი ფერდინანდმა მიშპართა წერილით ხელმწიფე იმპერატორს და იშუამდგომლა გამოგზავნილ იქმნას სოფიაში საგანგებო წარმომადგენელი პრინცი ბორისის მართლმადიდებლად მონათვლაზე დასასწრებლადო. ხელმწიფე იმპერატორმა შეიწყინა პრინცი ფერდინანდის თხოვნა და გაგზავნა სოფიის თვის წარმომადგენელად მონათვლაზე გენერალი გრაფი გოლენიშჩევი-კუტუზოვი.“